



გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა - ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავანზე „ფარავანი 2 ჰესის“ და 35 კვ ძაბვის საჰაერო (საკაბელო მონაკვეთებით) ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ნინოწმინდის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტები

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვების დრო და ადგილი:

- **2025 წლის 21 ნოემბერი, 11:00 საათი,** ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ხორენიას კულტურის სახლის შენობა
- **2025 წლის 21 ნოემბერი, 14:00 საათი,** ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯიგრაშენის კულტურის სახლის შენობა

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ გზშ-ის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2025 წლის 5 დეკემბრის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნების/მოსაზრებების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს



გარემოს ეროვნული
სააგენტო

(დავით აღმაშენებლის გამზ. N150, 0112, თბილისი; ელფოსტა: eia@mepa.gov.ge, ტელ: +995 32 2439503/+995 32 2439510).

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან განცხადება დარეგისტრირდა **2025 წლის 1 ოქტომბერს**. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 85-ე დღისა და არაუგვიანეს 90-ე დღისა სააგენტო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:
<https://ei.gov.ge/ka/info/6acadef2-a9d8-4519-b182-ac6fbed1ef9e>